საქართველოს კანონი

საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ტყის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.05.2020, სარეგისტრაციო კოდი: 390000000.05.001.019838) მე-3 მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ საქმიანობა, რომელიც ტყით სპეციალურ სარგებლობას საჭიროებს, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ან „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვას ექვემდებარება, სათანადო გადაწყვეტილება მიიღება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ან „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

29 ივნისი 2023 წ.

N3392-XIმს-Xმპ